დანართი 1

განახლება: კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
დადგენილება #04, 08/07/2025

კავკასიის უნივერსიტეტის

სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულება

თბილისი
2025

სარჩევი

მუხლი 1. სტუდენტის უფლება-მოვალეობები....3

მუხლი 2. სტუდენტის ეთიკისა და ქცევის ნორმები 5

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება 7

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა....9

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 9

მუხლი 6. კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის ინსტრუქცია.10

მუხლი 7. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები....12

მუხლი 8. აკადემიური მოთხოვნები....14

მუხლი 9. კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების....19

განხორციელების ვადები 19

მუხლი 10. აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი 20

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეჩერების/შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი 21

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალობის არჩევის წესი 22

მუხლი 13. სწავლის საფასური....23

მუხლი 14. სტუდენტთა რეგისტრაციის პირობები 25

მუხლი 15. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS) 26

მუხლი 16. სტუდენტების ინიციატივების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების/თანადაფინანსება 27

მუხლი 17. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები 27

მუხლი 1. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1.1. სტუდენტს უფლება აქვს:

1.1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება;

1.1.2 მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

1.1.3 გაეცნოს უნივერსიტეტის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლითაც განისაზღვრება მისი უფლებები და ვალდებულებები, ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები;

1.1.4 ისარგებლოს „გამოცდების ჩატარების წესის“ შესახებ დებულებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით;

1.1.5 ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა ნებადართული საშუალებებით;

1.1.6 ისარგებლოს ომბუდსმენის დახმარებით და ამისთვის მიმართოს კავკასიის უნივერსიტეტის ომბუდსმენის ოფისს;

1.1.7 საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში;

1.1.8 თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

1.1.9 თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;

1.1.10 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სწავლების მეორე წლიდან ისარგებლოს მობილობის უფლებით, ასევე მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების გადატანა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

1.1.11 მოთხოვნის წარდგენიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში მიიღოს ნიშნების ფურცელი რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტიდან;

1.1.12 დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას:

- წერილობითი ფორმით (ელექტრონულად) მიიღოს შეტყობინება/ინფორმაცია მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის თარიღის შესახებ;

- დაესწროს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას და დააფიქსიროს პოზიცია;

- წერილობითი ფორმით (ელექტრონულად) მიიღოს დისციპლინური

პასუხისმგებლობის ზომა/ზომების შეფარდების შესახებ შესაბამისი ბრძანება.

1.1.13 ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებით;

1.2 სტუდენტი ვალდებულია:

1.2.1 დაიცვას შემდეგი დებულებები: ”კავკასიის უნივერსიტეტი“-ს დებულება; ”სტუდენტის სტატუსის შესახებ”, ”გამოცდების ჩატარების წესის შესახებ” დებულება, „ბიბლიოთეკის დებულება“, ასევე, სკოლის/უნივერსიტეტის სხვა შიდა აქტები და უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;

1.2.2 განახორციელოს ხელშეკრულებით დაკისრებული უფლება-მოვალეობები პირადად და არ გადასცეს ისინი სხვა პირებს, უნივერსიტეტის წერილობითი თანხმობის გარეშე;

1.2.3 უზრუნველყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს სტუდენტს უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

1.2.4 არ ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, განიხილება სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელ ქმედებად;

1.2.5 ლექტორის მიერ, შესაბამისი აკადემიური აქტივობის შეფასების ბაზაში შეტანიდან ერთი კვირის ვადაში მოახდინოს ინფორმაციის გადამოწმება, ხოლო შეფასების გამორჩენის ან არასწორად დაფიქსირების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, მომდევნო ერთი კვირის ვადაში მოახდინოს ლექტორის ინფორმირება და წერილობითი პრეტენზია გამოხატოს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორთან;

12.6 ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, დააბრუნოს ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები;

1.2.7 აცნობოს უნივერსიტეტის რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს პირად ბარათში მოცემული მისამართისა და სხვა ნებისმიერი პირადი ინფორმაციის ცვლილების შესახებ;

1.2.8 შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) მოთხოვნები;

1.2.9 დაიცვას ლექტორის მიერ წარმოდგენილ სილაბუსში მითითებული წესები და მოთხოვნები;

1.2.10 დაესწროს ლექციებსა და გამოცდებს უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად და დადგენილ ვადებში.

1.2.11 გადაიხადოს სწავლის საფასური წინამდებარე და მასთან დადებული ჩარჩო/სემესტრული ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესებისა და მოცულობის მიხედვით;

1.2.12 ყოველ სემესტრში დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე შეაფასოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობა.

1.2.13. სასწავლო პროცესის ელექტრონულ ფორმატში წარმართვის შემთხვევაში:

• პატივი სცეს სასწავლო პროცესში მონაწილე პირთა პირად უფლებებს, დაიცვას "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონითა და "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, არ მოახდინოს სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობის შედეგად მიღებული/მოპოვებული სურათის, ვიდეო თუ აუდიომასალის თვითნებური საჯარო გავრცელება, მათ შორის, პირადი სივრცის ამსახველი მასალის ნებისმიერი ფორმით გასაჯაროება.

• სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შეფასების თითოეული კომპონენტის (ზეპირი/წერილობითი გამოკითხვები, ქვიზები, პრეზენტაციები, პროექტები, სხვა სახის დავალებები) ელექტრონულ ფორმატში შესრულებისას ჩართოს ვიდეო თვალი ისე, რომ შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორს შესაძლებლობა ჰქონდეს თვალი ადევნოს მას;

მუხლი 2. სტუდენტის ეთიკისა და ქცევის ნორმები

2.1 სტუდენტის არაეთიკურ საქციელად ჩაითვლება:

2.1.1 ლექციაზე ან გამოცდაზე დაგვიანება;

2.1.2 სასწავლო/საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას ხმამაღალი ლაპარაკი, დერეფანში ხმაური;

2.1.3 თამბაქოს/ელექტრონული სიგარეტის მოწევა უნივერსიტეტის შენობასა და ეზოში;

2.1.4 შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკისა და უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა მატერიალურ-ტექნიკური ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა;

2.1.5 ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების მიმართ უხეში და დამამცირებელი მოქმედება, ძალადობა და შეურაცხყოფა;

2.1.6 საშიში, ფეთქებადი, მალე აალებადი ნივთიერებების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ტარება (თუ სტუდენტს უფლება აქვს ატაროს იარაღი, იგი ვალდებულია ჩააბაროს ის უნივერსიტეტის დაცვის სამსახურს, აღნიშნული ტერიტორიის დატოვებამდე);

2.1.7. აზარტული თამაშები, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების, აგრეთვე პოლიტიკური და რელიგიური სააგიტაციო, სარეკლამო ფურცლებისა და

პროკლამაციების შემოტანა და გავრცელება; მსგავსი წარწერების გაკეთება შენობაში;
2.1.8. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა;
2.1.9. სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფიზიკური (არასასურველი შეხება), ვერბალური (სექსუალური ხასიათის კომენტარები, ხუმრობები, სამსახურთან დაკავშირებული მუქარა/წახალისება სექსუალური ხასიათის თხოვნის შესრულების სანაცვლოდ), ან/და არავერბალური (სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაცია, სტვენა, და ა.შ) ქცევა, რომელიც ლახავს პიროვნების ღირსებას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.
2.1.10. უნივერსიტეტის აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში და ისეთ ადგილებში სადაც რბილი იატაკია, ნებისმიერი სახის საკვების, ღია ჭიქით/ბოთლით (თავსახურის გარეშე) სასმლის (ყავა, გაზიანი სასმელები) (თავსახურის გარეშე), ან სხვა სითხის შემცველი პროდუქტის შეტანა უნივერსიტეტის შენობაში. ან სხვა ქმედების ჩადენა, რაც იწვევს უნივერსიტეტის შენობის (ოთახების, დერეფნების, კიბეების, ლიფტის..) დაზიანებას, დაბინძურებას ან/და იერსახის დამახინჯებას;
2.1.11. უნივერსიტეტის სახელით რაიმე სახის პოზიციის დაფიქსირება, რომელიც უნივერსიტეტს პირდაპირ ან ირიბად ეხება, უნივერსიტეტის პრეზიდენტთან ან უნივერსიტეტის მმართველ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე.
2.1.12. „აკადემიური კეთილსინდისირების კოდექსით“ განსაზღვრული ქმედების ჩადენა;
2.1.13. “გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“ დებულებით დადგენილი წესების დარღვევა;
2.1.14. დაცვის თანამშრომლებისადმი დაუმორჩილებლობა;
2.1.15. უნივერსიტეტის პრესტიჟის, სახელისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ქმედების განხორციელება;
2.1.16. სხვა ქმედების/უმოქმედობის ჩადენა, რაც არღვევს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებითა და საყოველთაოდ მიღებული ეთიკისა და ქცევის ნორმებით დადგენილ წესებს.

2.2 დისციპლინური პასუხისმგებლობა

სტუდენტის მიერ, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ქცევის ნორმების დარღვევა მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად. თითოეულ ასეთ ქმედებას შეისწავლის და განიხილავს უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი დისციპლინური კომისია, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს პირის მიმართ ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობის ზომის/ზომების გამოყენებაზე:

ა) სტუდენტისთვის შენიშვნის გამოცხადება;

ბ) სტუდენტისთვის მკაცრი საყვედურის გამოცხადება;

გ) სტუდენტისთვის - სასწავლო კურსიდან/კურსებიდან ჩახსნა;

დ) სტუდენტისათვის - სპეციალური ტარიფით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის უფლების შეწყვეტა;

ე) სტუდენტისთვის - სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ვ) სტუდენტისთვის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე:

- სიტყვიერი ან/და წერილობითი გაფრთხილება, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- ნაშრომის/საგამოცდო დავალების განმეორებით შესრულება;
- შესაბამისი სასწავლო კომპონენტისთვის გათვალისწინებული ქულის განულება/დაკლება;
- სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასება (F);
- სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სემესტრით;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა.

3. სანქციის შეფარდებისას კომისია ითვალისწინებს „აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის“ დებულებით განსაზღვრულ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

3.1. ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კავკასიის უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, ”ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანების 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აბიტურიენტის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ;

3.2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სწავლების პირველ საფეხურზე კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარება დასაშვებია მხოლოდ ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

3.3. კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მეორე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელსაც გააჩნია არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელიც აკმაყოფილებს ”სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებისა და სამაგისტრო პროგრამაზე მიღების საუნივერსიტეტო წესს.

3.4. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, სწავლების მეორე საფეხურზე კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარება დასაშვებია მხოლოდ ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 52^1-ე მუხლის მე-7 პუნქტითა და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

3.5. კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც გააჩნია არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების საუნივერსიტეტო წესს.

3.6. ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კავკასიის უნივერსიტეტი ამტკიცებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ წარდგენილ კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ცალკეული სასწავლო კურსისთვის.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა

4.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

4.1.1. აკადემიური შვებულება;

4.1.2. ავადმყოფობა;

4.1.3. ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

4.1.4. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);

4.1.5. გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინება;

4.1.6. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

4.1.7. ფინანსური დავალიანება;

4.1.8. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტზე სემესტრული რეგისტრაციის გაუვლელობა;

4.1.9. ოჯახური მდგომარეობა;

4.1.10. პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

4.1.11. სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენა;

4.2. ვადა, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი, არ შედის სწავლების დასაშვებ ვადაში;

4^1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

4^1.1 სტუდენტის სტატუსის აღდგენის საფუძველია:

4^1.1.1. პირადი განცხადება;

4^1.1.2. სემესტრული რეგისტრაციის გავლა, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია წინამდებარე დებულების 4.1.8 პუნქტი;

4^1.1.3. უნივერსიტეტის წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების სრულად ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ნაწილობრივი შესრულება, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია წინამდებარე დებულების 4.1.7 პუნქტი;

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

5.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

5.1.1 პირადი განცხადება;

5.1.2 საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

5.1.3 სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

5.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა სწავლების დასაშვებ ვადაში;

5.1.5. სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობა;

5.1.6 სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენა;

5.1.7 გარდაცვალება.

5.1.8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

მუხლი 6. კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის ინსტრუქცია

6.1. **სტუდენტთა მობილობა სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან**

6.1.1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

6.1.2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, სწავლების მეორე წლიდან. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

6.1.3. სტუდენტების მობილობა ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცხადდება არაგეგმიური მობილობა), განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადებში.

6.1.4. კავკასიის უნივერსიტეტი ელექტრონულ პორტალზე კვოტების რეგისტაციის შემდეგ უნივერსიტეტის საიტზე აქვეყნებს ინფორმაციას მობილობის შესახებ, სადაც მიეთითება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელზეც ხორციელდება მობილობა;

ბ) სწავლების წელი, რომლიდანაც შეუძლია სტუდენტს სწავლა გააგრძელოს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) განსაკუთრებული მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მობილობის სტუდენტი (მაგ. უცხო ენა, რომელსაც უნდა ფლობდეს სტუდენტი);

დ)გასაუბრების ან ტესტირების შემთხვევაში მინიმალური მოთხოვნა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს სტუდენტმა.

6.1.5. მობილობის მსურველმა სტუდენტმა კავკასიის უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) ნიშნების ფურცელი;

ბ) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა ბრძანების სათანადოდ დამოწმებული ასლი;

გ) სწავლების წინა საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) დაბადების მოწმობის ასლი;

ვ) სამხედრო მიწერის ასლი (ვაჟებისთვის);

ზ) ორი ფოტო სურათი (3×4) + CD;

6.1.6. წარმოდგენილი საბუთების პირველადი განხილვის შემდეგ უნდა დადგინდეს სასწავლო კურსების ნუსხა, რომელთა სილაბუსების წარმოდგენა, მოთხოვნის შემთხვევაში, აუცილებელია გადმოსვლის მსურველი სტუდენტის მიერ;

6.1.7. კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვისას, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით, შესაძლებელია სტუდენტს ჩაუტარდეს გასაუბრება ან გამოცდა.

6.1.8. უნივერსიტეტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტს. ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.

6.1.9. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.

6.2. **სტუდენტთა მობილობა უნივერსიტეტის ფარგლებში (შიდა მობილობა)**

6.2.1. უნივერსიტეტის ერთი სკოლიდან სხვა სკოლაში გადასვლა ან/და სკოლის ფარგლებში, ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ.

6.2.2. შიდა მობილობის მსურველმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის პრეზიდენტს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუადრეს 2 კვირის და სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

6.2.3. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) შესაბამისი სკოლის დეკანის თანხმობა, ხოლო სხვა სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის შემთხვევაში, ასევე მიმღები სკოლის დეკანის თანხმობა;

ბ) სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისობის ამსახველი

დოკუმენტი მიმღები სკოლის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

6.2.4. ბრძანება სტუდენტის შიდა მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა მე-6 მუხლის 1.10 პუნქტით განსაზღვრული ვადების დაცვით.

6.3. შიდა და გარე მობილობის დროს კრედიტების ჩათვლა/აღიარების წესი

6.3.1. შიდა/გარე მობილობის მსურველ პირს ან სტუდენტს, რომელსაც სურს ჩაეთვალოს კავკასიის უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი და ცენტრის მიერ აღიარებული კრედიტები, განცხადებასთან ერთად წარმოადგენს სხვა უნივერსიტეტში/სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გავლილი სასწავლო კურსების შეფასების (ნიშნების) ფურცელს. კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ადგენს პროგრამული შესაბამისობის ფორმას, ჩასათვლელი კრედიტების, მათ შორის ნამეტი კრედიტ(ებ)ის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესაბამისობის ფორმას (სკოლის დეკანის ვიზირებით), ნიშნების ფურცელთან ერთად სკოლა უგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს, აღნიშნული დეპარტამენტის დირექტორის ვიზირების შემდეგ, საბოლოო ვიზირებას ახდენს ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში. ყველა უფლებამოსილ პირთა ვიზირების შემდეგ, შესაბამისობის ფორმა შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს და ფინანსურ მენეჯერს. ამ მუხლში მითითებული წესი მოქმედებს როგორც გარე, ასევე შიდა მობილობის დროს.

6.3.2. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, უნივერსიტეტის ინტერესებიდან ან არსებული ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, უარი თქვას და არ დააკმაყოფილოს სტუდენტის მოთხოვნა შიდა მობილობაზე.

მუხლი 7. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები

7.1 უნივერსიტეტს უფლება აქვს:

7.1.1. მოითხოვოს სტუდენტისაგან საქართველოს კანონმდებლობით, “კავკასიის უნივერსიტეტი”-ს დებულებით, "სტუდენტის სტატუსის შესახებ" დებულებით, "გამოცდების ჩატარების წესის შესახებ" დებულებით, ”ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ” დებულებით, უნივერსიტეტის სხვა შიდა აქტებითა და სტუდენტის მიერ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

7.1.2 მოსთხოვოს სტუდენტს აკადემიური და ფინანსური ვალდებულებების შესრულება;

7.1.3 მოსთხოვოს სტუდენტს უნივერსიტეტის სახელისა და რეპუტაციის

დაცვა;

7.1.4. მოსთხოვოს სტუდენტს ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ უკლებლივ დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი მასალა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საბიბლიოთეკო მასალის დაზიანებისა ან/და დაკარგვის, დაუბრუნებლობის შემთხვევები რეგულირდება "ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ" დებულებით.

7.1.5. მოსთხოვოს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) მოთხოვნების შესრულება.

7.2. უნივერსიტეტი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს სტუდენტი სწავლების სათანადო პირობებით, სასწავლო ბაზის სათანადო ტექნიკური აღჭურვით, უსაფრთხოების წესებისა და სანიტარული ნორმების დაცვით.

7.2.2 შეუქმნას სტუდენტს სწავლის ჯანსაღ და კონკურენტულ გარემოში სათანადო განათლების მიღებისა და ობიექტური შეფასების პირობები;

7.2.3 მისცეს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობა;

7.2.4 აღმოფხვრას მისი მიზეზით გამოწვეული ისეთი გარემოებანი, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალონ სასწავლო პროცესის მსვლელობას;

7.2.5 სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი გახადოს სხვადასხვა სასწავლო მასალა, წიგნები და სახელმძღვანელოები ან მიუთითოს მასალის წყაროზე, შესაძლებლობის გათვალისწინებით;

7.2.6 არ შეცვალოს სტუდენტის ჩარიცხვის მომენტისთვის დადგენილი სწავლის საფასურის მიხედვით გამოანგარიშებული 1 ECTS კრედიტის ღირებულება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ჩარიცხვიდან პირველი 4 (ოთხი) წლის განმავლობაში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების პირველი 5 წლის განმავლობაში, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველი 6 წლის განმავლობაში, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის ჩარიცხვიდან პირველი 2 (ორი) წლის განმავლობაში, სადოქტორო პროგარმის სტუდენტის ჩარიცხვიდან პირველი 3 (სამი) წლის განმავლობაში (მოცემულ ვადაში შედის ასევე პერიოდი, როდესაც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და იგი აითვლება სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და მისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების მომენტიდან), გარდა ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებისა, რაც უნივერსიტეტს ანიჭებს უფლებას სწავლების მომდევნო სემესტრიდან შეცვალოს სწავლის ღირებულება. ეროვნული ვალუტის

მნიშვნელოვნად გაუფასურებად ჩაითვლება ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მინიმუმ 5% დევალვაცია.

მუხლი 8. აკადემიური მოთხოვნები

8.1. სწავლების თითოეულ ეტაპზე, სტუდენტის აკადემიური მოთხოვნები განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის სილაბუსებით;

8.2. სტუდენტმა სასწავლო კომპონენტში შეიძლება მიიღოს ბონუს ქულა თუ ის აკმაყოფილებს უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს;

8.3. დაუშვებელია სტუდენტის მიერ შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის გაცდენა ან გადატანა შემდგომი პერიოდისათვის. სტუდენტს შეიძლება მიეცეს შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტების მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში, თუ გაცდენა მოხდა საპატიო მიზეზით (გამოცდების ჩატარების წესის შესახებ დებულების შესაბამისად).

8.4. სტუდენტის შეფასება:

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.
3. კრედიტის მინიჭება ხდება შეფასების ორივე კომპონენტის (შუალედური და დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების ორივე კომპონენტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევა.
5. სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის (კრედიტის მინიჭებისათვის) სავალდებულოა დასკვნითი გამოცდის ჩაბარება.
6. საბოლოო შეფასების მიზნებისათვის, სასწავლო კურსი გავლილად ითვლება თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე მიიღებს გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილ მინიმალურ ქულას.

7. სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ სტუდენტის მიერ, შუალედური და დასკვნითი შეფასებების შედეგად, დაგროვილი ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადებში.

9. შეფასების სისტემა უშვებს

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

10. სტუდენტს შესაბამის სასწავლო კურსში უფორმდება F (0) ქულა შემდეგ შემთხვევებში:

- ვერ გადალახა სასწავლო კურსის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
- არასაკმარის ქულათა გამო, სტუდენტი ვერ გავიდა დამატებით გამოცდაზე;
- ვერ ჩააბარა დამატებითი გამოცდა.

11. სასწავლო კურსის/პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით, შესაძლოა არსებობდეს შეფასების განსხვავებული სისტემა, რომელიც განისაზღვარება შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ით.

12. საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამაზე დასკვნით გამოცდამდე სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შუალედური შეფასებების ჯამური ქულა განისაზღვროს 70-ით. ხოლო, დასკვნითი გამოცდის ქულა განისაზღვროს 30-ით.

13. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი (მათ შორის, არარეზიდენტი აკადემიური ხარისხის მაძიებელი სტუდენტი) ვალდებულია:

13.1. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სტანდარტულ I ეტაპზე მიიღოს შუალედური შეფასებების ჯამური ქულის მინიმუმ 51% (შემდგომში ”შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი”);

13.2. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის სტანდარტულ ზედა ეტაპებზე მიიღოს შუალედური შეფასებების ჯამური ქულის მინიმუმ 59% (შემდგომში ”შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი”);

14. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მოთხოვნაა (მათ შორის, არარეზიდენტი აკადემიური ხარისხის მაძიებელი სტუდენტისთვის):

14.1. სწავლის სტანდარტულ I ეტაპზე გამოცდის მაქსიმალური ქულიდან მინიმუმ 51%-ის მიღება. დასკვნით გამოცდაში მაქსიმალური ქულიდან 51%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

14.2. სწავლის სტანდარტულ ზედა ეტაპებზე გამოცდის მაქსიმალური ქულიდან მინიმუმ 60%-ის მიღება. დასკვნით გამოცდაში 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

15. ინგლისური ენის B2 დონის სწავლების ყველა სემესტრში, მიუხედავად სწავლის ეტაპისა, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შუალედური შეფასების ჯამური ქულის 59%, ხოლო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის, სტუდენტმა უნდა გადალახოს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 60%.

16. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ(ებ)ისათვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სწავლის სტანდარტულ ექვსივე ეტაპზე განისაზღვრება შუალედური შეფასებების ჯამური ქულის მინიმუმ 51%-ით, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის მინიმუმ 51%-ით; დასკვნით გამოცდაში მაქსიმალური ქულიდან 51%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

17. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მოვლინებული სტუდენტებისთვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სწავლის ნებისმიერ ეტაპზე განისაზღვრება შუალედური შეფასებების ჯამური ქულის მინიმუმ 51%-ით, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის მინიმუმ 51%-ით;

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე:

18. სტუდენტი ვალდებულია სწავლის თითოეულ ეტაპზე, სასწავლო კომპონენტებში მიიღოს შუალედური შეფასებების ჯამური ქულის მინიმუმ 59% (შემდგომში ”შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი”).

19. დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მოთხოვნაა:

19.1. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის თითოეულ ეტაპზე დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულიდან მინიმუმ 60%-ის მიღება. დასკვნით შეფასებაში 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

20. სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგინოს და დაიცვას რეგისტრაციიდან 2 (ორი) სემესტრის განმავლობაში (ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში - რეგისტრაციიდან 3 (სამი) სემესტრის განმავლობაში). სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, ფასდება მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. შეფასება მოიცავს შესაბამისი სკოლის მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. სამაგისტრო პროექტში/ნაშრომში, სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს წინამდებარე (მე-8) მუხლის 19.1. პუნქტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევის შემთხვევაში.

20. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტში “FX”-ის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო “F”-ის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

21. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (დისერტაციის) შეფასების სისტემა:

ა) ხუთი დადებითი შეფასება:

ა.ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ა.ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

ა.გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

ა.დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ა.ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ბ) ორი უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ბ.ბ) სრულად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს.

22. დისერტაცია ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სკოლის მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სტუდენტს დისერტაცია დაცულად ეთვლება მე-8 მუხლის 19.1. პუნქტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევის შემთხვევაში.

23. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტში, არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

8.5. სასწავლო წლის დატვირთვა:

1. სწავლების ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს (გარდა პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევისა). სტუდენტი ვალდებულია სემესტრში დარეგისტრირდეს მინიმუმ 30 (ECTS) კრედიტის შესაბამის სასწავლო კურსებზე, გარდა პროგრამით ან სტუდენტის ინდივიდულაური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

3. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა

აღემატებოდეს 15 კრედიტს.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შემუშავდეს შემდეგი კატეგორიის სტუდენტების მიმართ:

- სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტები;
- გაცვლითი პროგრამის სტუდენტები;
- სტუდენტები, რომლებმაც ვერ დაძლიეს რომელიმე კომპონენტ(ებ)ი;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული სტუდენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუს აღდგენილი სტუდენტები;
- სხვა კატეგორიის სტუდენტი, რომელსაც კონკრეტული სიტუაციის შეფასების შედეგად, განესაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

5. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა. სწავლა-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმის დროს, ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

8.6. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლია სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს „ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის წესი“-თ დადგენილ მოთხოვნებს.

8.7. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტების სია, შერჩევის პროცედურა და სხვა დაკავშირებული საკითხები რეგულირდება/ განისაზღვარება „ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის წესი“-თ.

მუხლი 9. კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადები

9.1. ბაკალავრიატი

9.1.1 ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადაა 4 წელი, ხოლო დასაშვები ვადაა 6 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს ბაკალავრიატში სწავლის დასრულებას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი მას გადასცემს ნიშნების ფურცელს;

9.1.2. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის

მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ვადაა 5 წელი, ხოლო დასაშვები ვადა 7 წელი.
9.1.3. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ვადაა 6 წელი, ხოლო დასაშვები ვადა 8 წელი.
9.1.4. სწავლების სტანდარტული ვადისათვის თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ აკადემიურ წელს (სტანდარტული ეტაპი);
9.1.5. ნიშნების საშუალო შეწონილის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება თავისუფალი კრედიტები;

9.2. მაგისტრატურა

9.2.1. მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადაა 2 წელი, ხოლო დასაშვები ვადა არის 5 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის დასრულებას, შეუწყდება სტატუსი და რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი მას გადასცემს ნიშნების ფურცელს;

9.3. დოქტორანტურა

9.3.1. სადოქტორო პროგრამებზე, სწავლის სტანდარტული ვადაა 3 წელი, დასაშვები ვადა არის 5 წელი.
9.3.2. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს დოქტორანტურაში სწავლის დასრულებას შეუწყდება სტატუსი და რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი მას გადასცემს ნიშნების ფურცელს;
9.4. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლის დასრულებას ვერ შეძლებს პროგრამის სტანდარტულ ვადაში, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს შეცვლილი პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის, სტუდენტს შესაძლოა მოუხდეს სწავლის შესაბამის საფეხურზე დადგენილ კრედიტებზე მეტი კრედიტის გავლა, შესაბამისი ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნული ასევე, ვრცელდება სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, სტატუსის აღდგენის დროს.

მუხლი 10. აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი

10.1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (არანაკლებ 240 ECTS) მოგროვებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში.

10.2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (არანაკლებ 120 ECTS) მოგროვებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში.

10.3. უნივერსიტეტის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სტუდენტს დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში.

10.4. ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან;

10.5. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (არანაკლებ 300 ECTS) მოგროვებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება ხარისხი განათლების მაგისტრი.

10.6 წარჩინების დიპლომი გაიცემა, თუ შესაბამისი პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტის ნიშნების საშუალო შეწონილი კუმულაციური GPA იქნება 3.8 და მეტი.

10.7 სტუდენტი გახდება პრეზიდენტის რჩეული თუ შესაბამისი პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტის ნიშნების საშუალო შეწონილი კუმულაციური GPA იქნება 4.0.

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეჩერების/შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

11.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეჩერება, გარდა

კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, შესაძლებელია თუ ნებისმიერი საფეხურის პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 5-ს.
11.2. პროგრამის შეჩერების/გაუქმების შემთხვევაში სტუდენტი აკეთებს არჩევანს შიდა ან გარე მობილობას შორის.
11.3. ორივე შემთხვევაში დაცული უნდა იქნას სტუდენტის უფლება თავისუფალი არჩევანის შესახებ. შიდა მობილობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ გადახდილი და გამოუყენებელი (დეპოზიტში არსებული) სწავლის საფასური გადანაწილდება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის დისციპლინებზე, ხოლო გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ გადახდილი და გამოუყენებელი (დეპოზიტში არსებული) სწავლის საფასური დაუბრუნდება სტუდენტს.
11.4. პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი სკოლა იღებს გადაწყვეტილებას გამოავლინოს სტუდენტთა სამიზნე ჯგუფი/ჯგუფები, რომლებსაც ეხებათ პროგრამაში შესული ცვლილება/ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას არსებული სტუდენტების სწავლის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობა.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალობის არჩევის წესი

12.1 კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან კონცენტრაციის არჩევის საშუალებას იძლევა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა). ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე კონცენტრაციის არჩევა შესაძლებელია სწავლების მეექვსე სემესტრიდან. კონცენტრაციის არჩევის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელთაც არ გააჩნიათ აკადემიური დავალიანება (შესრულებული აქვთ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა). თითოეულ კონცენტრაციაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობათა ჯამი ემთხვევა კონკურსში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობას.
12.2. კონკურსი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს:
12.2.1. სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს ადგილების რაოდენობას თითოეულ კონცენტრაციაზე და ასევე განაცხადების მიღების ვადებს. განაცხადის წარმოდგენის ვადა არ უნდა იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები;
12.2.2. სტუდენტი ავსებს ონლაინ-განაცხადის ფორმას (იხ. დანართი 1) ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ ვადებში. შევსებულ განაცხადში სტუდენტი აფიქსირებს მის მიერ გაკეთებულ არჩევანს რიგითობის მიხედვით;
12.2.3. მიმდინარეობს სტუდენტთა განაცხადებების პირველადი დამუშავება. კერძოდ,

თუ შემოსული განაცხადების მიხედვით კონკრეტულ კონცენტრაციაზე არ არის კონკურსი, მაშინ სტუდენტები ავტომატურად ირიცხებიან შესაბამის კონცენტრაციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებს მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესი;

12.2.4. სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები, იმ რელევანტურ სასწავლო კურსებში რომლებიც შერჩეულ იქნა სკოლის საბჭოს მიერ, გამრავლდება ასევე წინასწარ დადგენილ წონებზე (იხ. დანართი 1). მიღებული შედეგები დალაგდება რეიტინგის მიხედვით და გამოცხადებული კვოტის ფარგლებში მოქცეული სტუდენტები ჩაირიცხებიან შესაბამის სპეციალობაზე;

12.2.5. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც კონკურსის შედეგად ვერ მოხვდებიან მათ მიერ პირველ ადგილზე მითითებულ კონცენტრაციაზე იმოქმედებს 12.2.4 პუნქტში აღწერილი წესი არჩევანის რიგითობის მიხედვით.

მუხლი 13. სწავლის საფასური

13.1 სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ოდენობით, გადახდის წესისა და ვადების დაცვით;

13.2 მხარეთა მიერ თითოეულ სემესტრში დამატებით იდება სემესტრული, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ხელშეკრულებები, რომლებითაც დეტალურად რეგულირდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფინანსური ხასიათის ურთიერთობები თითოეული სემესტრის განმავლობაში;

13.3 საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის რეზიდენტი სტუდენტებისთვის, სწავლების სემესტრული გადასახადი განისაზღვრება რეგისტრირებული სასწავლო კურსების კრედიტების მიხედვით, ხოლო არარეზიდენტი სტუდენტებისთვის, სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის და კავკასიის ბიზნესის სკოლისა და გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლის ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის, ერთობლივი პროგრამის სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის გადახდის წესი განისაზღვრება სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების მიხედვით.

სტუდენტის მირ დაგროვილი თავისუფალი კრედიტების აღიარება მოხდება მას შემდეგ, რაც გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და დაიფარება აღნიშნული კრედიტების ღირებულება;

13.4 არ იცვლება სწავლის საფასურის მიხედვით გამოანგარიშებული 1 ECTS კრედიტის ღირებულება შესაბამის პროგრამაზე სწავლის სტანდარტულ ვადაში (სტანდარტულ ვადაში შედის პერიოდი, როდესაც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა

სტატუსი და იგი აითვლება სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მინიჭების მომენტიდან), გარდა ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებისა, რაც უნივერსიტეტს ანიჭებს უფლებას სწავლების მომდევნო სემესტრიდან შეცვალოს სწავლის ღირებულება. ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვნად გაუფასურებად ჩაითვლება ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მინიმუმ 5% დევალვაცია);13.5

საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტის ჩარიცხვიდან სტანდარტული ვადის გასვლის შემდეგ, 1 ECTS კრედიტის ღირებულება შეიცვლება ახალი შესაბამისი წლის ტარიფით;

13.6 სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვიდან სტანდარტული ვადის გასვლის შემდეგ, 1 ECTS კრედიტის ღირებულება შეიცვალოს ახალი შესაბამისი წლის ტარიფით, თუ ახალი 1 ECTS კრედიტის ღირებულება არანაკლებ 1,2-ჯერ მეტია სტუდენტის ჩარიცხვის დროს არსებულ 1 ECTS კრედიტის ღირებულებაზე. სხვა შემთხვევაში, 1 ECTS კრედიტის ღირებულება გაიზარდოს 1.2-ჯერ.

13.7. სასწავლო კურსის ახლიდან შესწავლის შემთხვევაში 1 ECTS კრედიტის ღირებულება განისაზღვრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი ტარიფების თანახმად. კერძოდ, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე დამატებითი მომსახურების პირველად გაწევის შემთხვევაში, კრედიტის ღირებულება ემთხვევა სტუდენტის ჩარიცხვის მომენტისთვის დადგენილი სწავლის საფასურის მიხედვით გამოანგარიშებული 1 ECTS კრედიტის ღირებულებას, ხოლო იგივე საგანზე ყოველი მომდევნო მომსახურების გაწევის ტარიფი განსხვავებულია აღნიშნული თანხისგან;

13.7.1. სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო კურსის ახლიდან შესწავლის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დამატებით გადაიხადოს საგნ(ებ)ის ხელახლა შესწავლის ღირებულება (კრედიტების მიხედვით).

სასწავლო კურსის ხელახლა შესწავლის შემთხვევაში 1 ECTS კრედიტის ღირებულების განსაზღვრის მიზნებისთვის, წლიური გადასახადი იყოფა 60-ზე. წლიური საფასურის განსაზღვრის მიზნით, პროგრამის ღირებულება იყოფა პროგრამის ვადაზე.

სასწავლო კურსის ყოველ მომდევნო ჯერზე გადაბარების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის ტარიფი განსხვავებულია (აღემატება) ზემოაღნიშნული თანხისგან და განისაზღვრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

13.8. საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სტუდენტისათვის დამატებითი მომსახურების ტარიფები არ იცვლება 13.4. მუხლით განსაზღვრულ ვადაში, გარდა ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი გაუფასურებისა, რაც უნივერსიტეტს ანიჭებს უფლებას სწავლების მომდევნო სემესტრიდან შეცვალოს სწავლის ღირებულება. ეროვნული ვალუტის

მნიშვნელოვნად გაუფასურებად ჩაითვლება ლარის აშშ დოლართან მიმართებაში მინიმუმ 5% დევალვაცია;

13.9. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს (მათ შორის, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მივლინებულ სტუდენტს) შეუძლია ისარგებლოს გარკვეული ფინანსური შეღავათებით, თუ იგი რეიტინგში დაიკავებს I, II ან III ადგილს. რეიტინგში მონაწილეობისა და რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების წესი/ მოპოვების წინაპირობები განისაზღვრება „რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების წესი"-ს შესაბამისად.

13.10. სახელმწიფო გრანტის მფლობელი რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების დროს, დადგენილი წესის შესაბამისად, კალკულაცია ხდება სწავლის საფასურიდან, რომელიც რჩება სახელმწიფო გრანტის თანხის გამოკლების შედეგად.

13.11. სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის ანგარიშზე ირიცხება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრით განსაზღვრული აკადემიური წლის დასრულებამდე წლიური სასწავლო გრანტის მიუღებლობის შემთხვევაში, გადახდის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს.

13.12. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სარგებლობს სპეციალური ტარიფით, იგი ვრცელდება მხოლოდ პირველად რეგისტრირებულ სასწავლო კურსებზე, მაგრამ არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ჯამური კრედიტისა.

მუხლი 14. სტუდენტთა რეგისტრაციის პირობები

14.1. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ რეგისტრაციის ვადებში დარეგისტრირდეს სასწავლო კურსებზე/პრაქტიკულ კომპონენტებზე (სარეკვიზიტო სისტემით გათვალისწინებული გეგმის დაცვით). უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად გააფორმოს/დაადასტუროს სემესტრული ხელშეკრულება და გადაიხადოს სწავლის სემესტრული გადასახადი ხელშეკრულებაში ფიქსირებული სემესტრის დაწყებამდე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ გაივლის დროულ რეგისტრაციას ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში ის გადადის გვიანი რეგისტრაციის რეჟიმში რისთვისაც დაეკისრება დამატებითი გადასახადი;

14.2. საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაწიოს სასწავლო მომსახურება რეგულირდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით;

14.3. აკადემიური კალენდრით დადგენილ სემესტრული რეგისტრაციის ვადებში, სასწავლო კურს(ებ)ზე/კომპონენტ(ებ)ზე რეგისტრაციის გაუვლელობის

გამო, გვიანი რეგისტრაციის რეჟიმში სასწავლო კურს(ებ)ზე/კომპონენტ(ებ)ზე დარეგისტრირების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ, დამატებითი გადასახდელი განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო არარეზიდენტი სტუდენტის შემთხვევაში, განისაზღვრება 100 აშშ დოლარის/ევროს ოდენობით (იმ უცხოური ვალუტის შესაბამისად, რომელ ვალუტაშიც განსაზღვრულია იმ პროგრამის ღირებულება, რომელზეც სწავლობს სტუდენტი);

14.4. სტუდენტს უფლება აქვს შეცვალოს, გააუქმოს, ან დაამატოს სასწავლო კურსის რეგისტრაცია (გარდა სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტისა), თუ მის მიერ რეგისტრაციის გაუქმება/შეცვლა ზეგავლენას არ მოახდენს ჯგუფის შედგენაზე (თუ ჯგუფში მინიმალურ სტუდენტთა რაოდენობაზე ნაკლები შეიძლება დარჩეს. აღნიშნული ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს სემესტრის დაწყებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში (ზაფხულის სემესტრში 1 (ერთი) კვირის განმავლობაში). კვლევით კომპონენტზე რეგისტრაცია არ უქმდება.
ერთობლივი პროგრამის სტუდენტს უფლება არ აქვს გააუქმოს პირველადი რეგისტრაცია.
თუ სტუდენტი გააუქმებს სასწავლო კურსზე რეგისტრაციას, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში, მის მიერ გაუქმებული სასწავლო კურსის საფასური გადაიტანება დეპოზიტად შემდგომი სემესტრისათვის. ამ მუხლით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, უნივერსიტეტი არ აუქმებს სემესტრულ რეგისტრაციას;

14.5. დებულების 14.4 მუხლით განსაზღვრულ ვადებში სასწავლო კურსის დამატების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია თანხა გადაიხადოს საგანზე რეგისტრაციის გავლის დღეს;

14.6. სტუდენტი დაიშვება რეგისტაციის მეორე ეტაპზე: რეგისტრაცია საგანზე ლექტორის, დროისა და აუდიტორიის მითითებით, თუ მას არ გააჩნია ფინანსური დავალიანება.

მუხლი 15. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS)

15.1. კავკასიის უნივერსიტეტში მიღებულია სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გაანგარიშება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის ECTS -ის მიხედვით.

15.2. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორცილებისა და განვითარების წესი.

მუხლი 16. სტუდენტების ინიციატივების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების/თანადაფინანსება

16.1. კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტებთან, უმაღლესი განათლების ეროვნულ / რეგიონულ / საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა დამატებით (საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა (Extracurricular Activities) წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას / მხარდაჭერას.
16.2. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტმა შესაძლებელია მიიღოს დაფინანსება სასწავლო, კვლევითი და/ან პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობისთვის საერთაშორისო და/ან ადგილობრივი დონეზე.
16.3. დასაფინანსებელი აქტივობების კლასიფიკაცია, შეფასების კრიტერიუმები და სხვა საკითხები რეგულირდება კავკასიის უნივერსიტეტში დამტკიცებული „სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა უნარების განმავითარებელი ინიციატივების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების/თანადაფინანსების წესი“-თ.

მუხლი 17. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები

17.1. კავკასიის უნივერსიტეტის კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის კოორდინაციით, კავკასიის უნივერსიტეტის სკოლები ყოველწლიურად ატარებენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს. კონფერენციის მიზანია ორიგინალური იდეებით განმსჭვალული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების გამოვლენა და სამეცნიერო პოტენციალის მქონე ახალგაზრდების წარმოჩენა.

17.2. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი სკოლებთან შეთანხმებით ადგენს სასკოლო და საუნივერსიტეტო კონფერენციების გრაფიკს, რომლის შესახებაც კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებითი ბარათის საფუძელზე გამოიცემა უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანება.

17.3. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენა ხდება ელექტრონულად კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტში, სკოლების მიერ დადგენილ ვადაში. განაცხადს თან ერთვის სააპლიკაციო ფორმა. განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი შემოსულ აპლიკაციებს უგზავნის სკოლას

შერჩევისთვის.

17.4. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს სკოლის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

17.5. სკოლები დადგენილ ვადაში განიხილავენ შემოსულ განაცხადებს, გამოავლენენ პირველ ტურში გასულ სტუდენტებს და ნიშნავენ სასკოლო კონფერენციების თარიღს, რის შესახებაც, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გამოიცემა შესაბამისი ბრძანება. ბრძანება ასევე, განსაზღვრავს თითოეული სკოლისთვის კონფერენციის ფარგლებში გასაცემ ბიუჯეტს.

17.6. სასკოლო კონფერენციები სტანდარტულად იმართება ყოველი წლის გაზაფხულის სემესტრში.

17.7. კონფერენციის დასრულებისას, თითოეული სკოლის მიერ შექმნილი შემფასებელი კომისია აცხადებს კონფერენციის შედეგებს და გამარჯვებულებს.

სასკოლო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში (სემინარი, კონკურსი) მონაწილე სტუდენტებს სკოლის მიერ განსაზღვრულ, შესაბამისი ეტაპის ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისა და კონფერენციაში მონაწილეობისათვის, ენიჭებათ - 2.0 ბონუს ქულა, კონფერენციაში გამარჯვებისათვის კი ენიჭებათ - 3.0 ბონუს ქულა; აღნიშნულის შესახებ კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს გადაეცემათ სერტიფიკატი მონაწილეობის შესახებ, ხოლო კონფერენციაში I, II და III ადგილზე გასულ სტუდენტებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები.

17.8. თითოეული სკოლის სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი შეიძლება წარდგენილ იქნას საერთაშორისო კონფერენციაზე.

17.9. საერთაშორისო კონფერენცია ტარდება სასკოლო კონფერენციების დასრულების შემდეგ.

17.10. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს.

17.11. საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად შეიძლება დაიშვან როგორც სასკოლო კონფერენციაზე გამარჯვებული, ასევე სასკოლო კონფერენციების შემფასებელი კომისიების მიერ რეკომენდირებული სტუდენტები.

17.12. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი განაცხადი არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. განაცხადში მოკლედ უნდა აღიწეროს სამეცნიერო თემა _ არსებული პრობლემა, თემის აქტუალურობა, გამოყენებული

კვლევის მეთოდები და მიღებული შედეგი. სავალდებულოა გამოყენებული ლიტერატურის მითითება.

17.13. განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1 _ რამდენად შეესაბამება ის კონფერენციის თემატიკას;

2 _ რამდენად ორიგინალურია ნაშრომი;

3 – რამდენად ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული ავტორის მოსაზრება;

4 _ რამდენად საფუძვლიანადაა შესრულებული კვლევა;

საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში (სემინარი, კონკურსი) მონაწილე სტუდენტებს სკოლის მიერ განსაზღვრულ, შესაბამისი ეტაპის ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში:

- სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისა და კონფერენციაში მონაწილეობისათვის, მიენიჭებათ - 3.5 ბონუს ქულა;
- კონფერენციაში გამარჯვებისათვის მიენიჭებათ - 4.0 ბონუს ქულა.

დანართი 1

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, განაცხადის ფორმა

სახელი, გვარი_____

ნაშრომის სათაური:_____

სექციის დასახელება:_____

სპეციალობა:_____

კურსი: _____

მისამართი: _____

ტელეფონის ნომერი:_____

ელ-ფოსტის
მისამართი:_____

ხელმძღვანელის
სახელი,გვარი:_____

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში?

_____

სტუდენტის ხელმოწერა

თარიღი